

1. ვის მიიჩნევდა ბენიტო მუსოლინი „პირველ ფაშისტად“?

ა. ალექსანდრე მაკედონელს

ბ. მაკიაველს

გ. იულიუს კეისარს

დ. ნაპოლეონ ბონაპარტეს

2. ვინ არის ნაჩვენები ილუსტრაციაზე?



ა. გიორგი I

ბ. ფილიპე II მაკედონელი

გ. ალექსანდრე მაკედონელი

დ. სტეფან დუშანი

3. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია პირველი ტრიუმვირატის დაშლა?

ა. მონათა აჯანყებამ სპარტაკის მეთაურობით

ბ. პართელებთან ომში კრასუსის დაღუპვამ

გ. პომპეუსის მიერ სერტორიუსის დამარცხებამ

დ. გალიის კონსულად კეისრის დანიშვნამ

4. რა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა უმრავლესობა თავად-აზნაურთა წარმომადგენლები იყვნენ?

ა. ტრადიციულად თავადაზნაურობა იყო ერის წარმმართველი ძალა

ბ. რუსული მმართველობის შედეგები არ შეეხო მოსახლეობის სხვა ფენებს

გ. თავადაზნაურობას ჰქონდა პოლიტიკური კავშირები ევროპულ არისტოკრატასთან

დ. მოსახლეობის დაბალ ფენებში აღარ იყო პოპულარული თავისუფლების იდეა

5. დაალაგეთ ქრონოლოგიურად.





3.

6. დალაგეთ ქრონოლოგიურად.



1.



2.



3.

8. რომელი ისტორიული მოვლენა უკავშირდება ჰანიბალ ბარკას?

- ა. დაპირისპირება სერტორიუსთან
- ბ. ომი მითრიდატე VI-ს წინააღმდეგ
- გ. ფარნაკის დამარცხება
- დ. კანეს ბრძოლა

9. რომელ ისტორიულ თხზულებაშია აღწერილი თამარისა და დემეტრი I-ის ცხოვრება?

- ა. ისტორია და აზმანი
- ბ. მოქცევაი ქართლისაი
- გ. ასწლოვანი მათიანე
- დ. ჩამოთვლილთაგან, არც ერთში

10. რომელ პოლიტიკურ პარტიაში იყო გაწევრიანებული ექვთიმე თაყაიშვილი და სპირიდონ კეცია?

- ა. ეროვნულ-დემოკრატიული
- ბ. სოციალ-დემოკრატიული
- გ. სოციალისტურ-დემოკრატიული
- დ. არც ერთში

11. დააკავშირეთ ილუსტრაცია მასზე ნაჩვენებ 2 პიროვნებასთან

კარიკატურა	ისტორიული პირები
 <p>"THIS HURTS ME MORE THAN IT HURTS YOU!"</p>	<ul style="list-style-type: none">ა. ხრუმჩოვიბ. კასტროგ. ჩე გევარად. გორბაჩოვი

12. დაწერეთ ესე თემაზე: (19ქ)

წყარო 1.

„ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა ... ერი, რომელსაც ახსოვს თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება. მხნევდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი.

წყარო 2.

1. იმის გასაგებად, რა მოხდება მომავალში, საკმარისია იცოდე, რა მოხდა წარსულში (ნიკოლო მაკიაველი, 1469-1527, იტალიელი პოლიტიკოსი, ისტორიკოსი, დიპლომატი).
2. არქეოლოგები მიწიდან იღებენ ისტორიას, რომელიც პოლიტიკოსებმა დაფლეს (გაბრიელ ლაუბი, 1928-1998, ჩეხი მწერალი, ჟურნალისტი).
3. ისტორია არაფერს გვასწავლის, მხოლოდ გვსჯის გაკვეთილების არცოდნისთვის (ანდრეი კლუჩევსკი, 1841-1911, რუსი ისტორიკოსი).
4. იპოვოს აზრი უაზრო ქმედებებში - აი, ისტორიკოსის უსიამოვნო მოვალეობა (ანდრეი კლუჩევსკი, 1841-1911, რუსი ისტორიკოსი).
5. თუ ისტორიიდან ამოვიღებთ ტყუილს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დარჩება მხოლოდ სიმართლე - შესაძლოა, საერთოდ არაფერი დარჩეს (სტანისლავ ეჟი ლენცი, 1909-1966, პოლონელი მწერალი-სატირიკოსი, პოეტი).
6. ისტორია - ეს ჭორების კვინტესენციაა (თომას კარლაილი, 1795-1881, ინგლისელი მწერალი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი).
7. მსოფლიოს ისტორია - ეს დიდი ადამიანების ბიოგრაფიაა (თომას კარლაილი, 1795-1881, ინგლისელი მწერალი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი).
8. ისტორიას, ისევე როგორც ბუნებას, თავისი კანონები აქვს (ლიონ ფოიხტვანგერი, 1884-1958, გერმანელი მწერალი, ჟურნალისტი).
9. ისტორია გვასწავლის მხოლოდ იმას, რომ მას არც ერთი ხალხისთვის არაფერი უსწავლებია (გეორგ ვილჰელმ ჰეგელი, 1770-1831, გერმანელი ფილოსოფოსი).
10. ისტორიის წინაშე ჩვენი ერთადერთი ვალი მისი მუდმივად გადაწერაა (ოსკარ უაილდი, 1854-1900, ინგლისელი მწერალი, პოეტი, ესეისტი).
11. ისტორია - ეს ფილოსოფიაა მაგალითებში (თუკიდიდე, დაახ. ძვ. წ. 460-400, ბერძენი მემატიანე)

12. ისტორიას ქმნიან ქალები, თუმცა ის მხოლოდ მამაკაცების სახელებს იმახსოვრებს (ჰაინრიხ ჰაინე, 1797-1856, გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი).
13. გაზეთები ისტორიის წამიერი ისრებია (არტურ შოპენჰაუერი, 1788-1860, გერმანელი ფილოსოფოსი).
14. ისტორიასთან ჭიდილში ლეგენდა ყოველთვის იმარჯვებს (სარა ბერნარი, 1844-1923, ფრანგი მსახიობი)
15. ის, რომ ადამიანები არ სწავლობენ ისტორიის შეცდომებზე, ისტორიის მთავარი გაკვეთილია (ოლდოს ჰაქსლი, 1894-1963, ინგლისელი მწერალი).
16. ისტორიის ერთი გვერდი ლოგიკის მთელი ტომის ტოლფასია (ოლივერ ჰოლისი, 1809-1894, ამერიკელი ექიმი და პოეტი).
17. ისტორია როგორც ასეთი არ არსებობს; არსებობს მხოლოდ ბიოგრაფიები (რალფ ემერსონი, 1803-1882, ამერიკელი მწერალი და ფილოსოფოსი).
18. უდიდესი გაუგებრობაა მორალში ჩაღრმავება, როდესაც საქმე ისტორიას ეხება (დენი დიდრო, 1713-1784, ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, განმანათლებელი).
19. გაზეთი ისტორიის პირველი შავი ვარიანტია (ფილიპ გრემი, 1914-1963, ამერიკელი გამომცემელი).
20. ისტორია მეორდება, პირველად - ტრაგედიის, მერე კი ფარსის სახით (კარლ მარქსი, 1818-1883, გერმანელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი).
21. ისტორია სურათების გალერეაა, სადაც ცოტა ორიგინალია და ბევრი ასლი (ალექსის ტოკვილი, 1805-1859, ფრანგი პოლიტიკოსი და ისტორიკოსი).
22. ისტორია ჩვენს ქმედებათა განძია, წარსულის მოწმეა, მაგალითი და შეგონება აწმყოსი და გაფრთხილება მომავლისა (მიგელ სერვანტესი, 1547-1616, ესპანელი მწერალი).
23. ისტორიკოსის ტალანტი იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას ერთი ჭეშმარიტი მთლიანობა იმ ნაწილებისგან, რომლებიც თავისთავად ნახევრად ჭეშმარიტნი არიან (ჟოზეფ რენანი, 1823-1892, ფრანგი მწერალი, ისტორიკოსი, ფილოლოგი).
24. ზნეობა ისტორიის სულია (ჟოზეფ ჟუბერი, 1754-1824, ფრანგი მწერალი).
25. ისტორია - ესაა კავშირი მიცვალებულებს, ცოცხლებსა და ჯერ არშობილთა შორის (ედუარდ ბერკი, 1729-1797, ინგლისელი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი).
26. მსოფლიოს ისტორია - ეს მსოფლიო სამსჯავროა (ფრიდრიხ შილერი, 1759-1805, გერმანელი პოეტი, ფილოსოფოსი, დრამატურგი).
27. მწელი მისახვედრი არ არის, რატომ დაიმსახურა ლეგენდამ მეტი პატივისცემა, ვიდრე ისტორიამ: ლეგენდას ქმნიდა მთელი სოფელი, ხოლო წიგნს (ისტორიულ ნაშრომს) მარტოხელა შეშლილი წერს (ჯილბერტ ჩესტერტონი, 1874-1936, ინგლისელი მწერალი და ჟურნალისტი).
28. ისტორია - ეს, უპირველეს ყოვლისა, მუზაა (პოლ ვალერი, 1871-1945, ფრანგი პოეტი, ესეისტი და ფილოსოფოსი).

29. ისტორია სიმართლეა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ტყუილი ხდება, ხოლო მითი ტყუილია, რომელიც ბოლოს და ბოლოს სიმართლე ხდება (ყან კოკტო, 1889-1963, ფრანგი მწერალი).
30. რას წარმოადგენს ადამიანი? - ამის გაგება შესაძლებელია არა საკუთარ თავში ჩაღრმავებით ან ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებით, არამედ მხოლოდ ისტორიის მეშვეობით (ვილჰელმ დილთაი, 1833-1911, გერმანელი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი)
31. მსოფლიო ისტორია ყოველივე იმის ჯამია, რის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იყო (ბერტრან რასელი - 1872-1970. ინგლისელი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი).
32. არ იცოდე ისტორია, ეს იგივეა, სამუდამოდ ბავშვად დარჩე (მარკუს ტულიუს ციცერონი, ძვ. წ. 106-43, რომაელი ორატორი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, ფილოსოფოსი).
33. ისტორია - წარსულის მოწმე, სინათლე ჭეშმარიტებისა, ცოცხალი მოგონება, ცხოვრების მასწავლებელი, სიძველეთა მთხრობელი (მარკუს ტულიუს ციცერონი, ძვ.წ. 106-43, რომაელი ორატორი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, ფილოსოფოსი).
35. ისტორიის უპირველესი კანონია, ეშინოდეს ნებისმიერი სიცრუისა და არ ეშინოდეს არავითარი სიმართლის (მარკუს ტულიუს ციცერონი, ძვ.წ. 106-43, რომაელი ორატორი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, ფილოსოფოსი).
36. ისტორია იწერება მკაცრი ჭეშმარიტების დასადგენად (გაიუს პლინიუს უმცროსი, ახ. წ. 61-114 რომაელი მწერალი და პოლიტიკოსი).
37. წინა თაობებმა დაგვიტოვეს არა იმდენად კითხვებზე მზა პასუხები, არამედ თვით კითხვები (ლუციუს სენეკა, ძვ. წ. 6 - ახ. წ. 65, რომაელი მწერალი, პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი).
38. ვისაც არ ახსოვს საკუთარი წარსული, განწირულია, იგი ხელახლა განიცადოს (ჯორჯ სანტაიანა, 1863-1952, ამერიკელი ფილოსოფოსი).
39. ისტორია - ეს კაცობრიობის გაადამიანურების განსაკუთრებული პროცესია (ლუდვიგ ფოიერბახი, 1804-1872, გერმანელი ფილოსოფოსი).
40. ისტორია იგავია, რომელიც ყველამ აღიარა (ბერნარ ფონტენელი, 1657-1757, ფრანგი მწერალი და მეცნიერი).
41. ისტორია ყველაზე კარგი მასწავლებელია, რომელსაც ყველაზე ცუდი მოსწავლეები ჰყავს (ინდირა განდი, 1917-1984, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი).
42. ისტორია არის ჯამი დანაშაულებისა, სიგიჟისა და უბედურებისა, რომელთა შორისაც აქა-იქ თუ წააწყდებით სათნოებას და ბედნიერ ეპოქას, მსგავსად იმისა, უდაბნოში რომ აღმოჩნდება ხოლმე აქა-იქ ადამიანთა დასახლებები (ვოლტერი, 1694-1778, ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, სატირიკოსი და ისტორიკოსი).
43. ისტორია თავისუფლების დრამაა, რომელშიც ყოველი წერტილი ქაოსითაა მოცული (მერაბ მამარდაშვილი, 1930-1990, ქართველი ფილოსოფოსი).
44. ისტორია საშინელი სიზმარია, რომელსაც, გინდა, თავი დააღწიო (ჯეიმს ჯოისი, 1882-1941, ირალანდიელი მწერალი და პოეტი).





